წალენჯიხა 25 ოქტომბერი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N8

2022 წლის 25 ოქტომბერს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: მანანა ჭანია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, გოჩა მესხია, ავთანდილ გაბელია.

დაწყების დრო: 11:30-სთ.
დასრულების დრო: 12:00-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **თამარ კვარაცხელია**, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ის დირექტორი

2.ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **ლევან ქარდავა**, ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ის დირექტორი.

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში წარმოადგინა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ის დირექტორმა თამარ კვარაცხელიამ. მან ვრცლად ისაუბრა სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრში სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ცენტრში სულ ირიცხება 317 მოსწავლე, აქედან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან რიცხულია 53 მოსწავლე. ცენტრს გააჩნია 2 დაფინანსების წყარო, სუბსიდია-მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან და მოსწავლეთა სწავლის საფასური. მომხსენებელმა 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის

ხარჯი დეტალურად გააცნო საკრებულოს წევრებს. მომხსენებელმა ყველა ჩატარებული ღონისძიება გააცნო საკრებულოს წევრებს.

კომისიების წევრებმა დადებითად შეაფასეს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი"-ის მუშაობა.

მოისმინეს 2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ის მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში წარმოადგინა ცენტრის დირექტორმა ლევან ქარდავამ. საკრებულოს წევრმა დათო მესხიამ თხოვნით მიმართა სამსახურის უფროსს, რომ შეძლებისდაგვარად მოხერხდეს ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ლეო ქიაჩელის მუზეუმ-ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია. საკრებულოს წევრმა ნანა ქობალიამ გამოთქვა აზრი, რომ თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში კატასტროფული მდგომარეობაა ბიბლიოთეკებში და ეს საკითხი აუცილებლად მისახედია.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ~~ირაფსა ჩანგელია~~